



40 -- 1916 წ ა ს ი
 , 2 ღვიძობი. 12კაპ

ქურნალი „თეატრი და სხოვრება“
 წლიურად 5 მ, ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლე-
 ბა ფოსტით: თიფლის, რედ. „თეატრი და სხოვრება“
 იოს. იმედაშვილი. პირისპირ: „სსსაფრანკო“ ს- სტამბაში.

წელ. მისთვის
 გამოსცემისა

ბ ა ქ ე ს ს ც ე ნ ა



ე. ო. ანდრონი-
 კაშვილი



მ ხონელი



შალვა დადიანი
 ბაქოს დრამატული წრის რეჟისორად
 მიწვეული

ვასო არაბიძე
 ბაქოს სამხატ-სალიტ. წრის რეჟისორად
 მიწვეული

ჩ ე მ ი პ ა ს უ ს ი

ზაფხულზე თვეზედ მეტი სოფელში გავატარებ. ამ ხნის განმავლობაში, მეტი რომ არა ვთქვა, ათასი კაცი ზინც იყო ჩემთან. რ დავანაც ჩვენი კუთხე შედარებით ჩამორჩენილია, კოოპერატივი კი ახალი ხლი, ამიტომ მამაკაცებს თითქმის ყველას ვეკითხებოდი საჩხერის კოოპერატივის შესახებ. ბევრი მეუბნებოდა: არაფერი არ ვიცით ბატონოვო. სხვებში კი მხოლოდ თავის უკმაყოფილებას მიცხადებდნენ ამ სახით და იმ სიტუაციით, როგორც მე აღვნიშნე ერთს ჩემს წერილში („თ. და გ. № 37“).

გულახდილად ვაცხადებ, კმაყოფილი არავინ მინახავს სოფლის გლეხებში, მომდურავი კი ბევრი. ეს სამდურავი იმდენად ძლიერი იყო, რომ ზოგი გლეხი პირდაპირ ამ სიტუაციით მიპასუხებდა: ბატონო პოლიცია, რომ არ გჩიოს შიგ, არ შეიძლებაო.

ამ გარემოებამ მე ძალიან შემაწუხა. წერილშიაც აღვნიშნე, რომ საჩხერის კოოპერატივის მეთაურებს მე პატივს ვცემ და მათი სიწმინდე ჩემთვის ყოველ ექვს გარეშა, ხოლო ცხადი იყო ჩემთვის შემდეგი: მათ ვერ მოახერხეს თავიდანვე საქმე ისე დაეყენებიათ, რომ ხალხის ნდობა და ს ყვარული დაემსახურებია კოოპერატივის.

მქონდა თუ არა მე ზნეობრივი უფლება, დამეწერა აღნიშნული წერილი.

მე ვფიქრობ, რომ მქონდა.

დამყარება თავისი აზრებისა და დასკვნებისა გავგონიდ ხმებზე არ ებატონება დინჯ კალმოსანსო, სწერენ კოოპერატორები.

რას ჰქვია გავგონილი ხმები?

გლეხები, რომლებსაც მე ვეკითხებოდი, მეუბნებოდნენ მას, რაც მე აღვნიშნე ჩემს წერილში. ნათქვამია, ხმა ღვთისა და ხმა ერისაო.

სამმა კაცმა რომ გითხრას, ცალთვლი ხარო, უნდა დაიჯეროვო, ნათქვამია. სამი-კი არა მე ვაცილებით მეტი მეუბნებოდა საჩხერის კოოპერატივის შესახებ ავს.

ამის შემდეგ უფლება მქონდა თუ არა მეფიქრა, რომ საჩხერის კოოპერატივი თავისი დანიშნულებას ვერ ემსახურება?

ხალხს აზრს რომ კოოპერატორებ ანგაზის უწევდნენ, მე დარწმუნებული ვარ, ჩემს წერილსაც ალაგი არ ექნებოდა.

ჩემს წერილში მე წამოვყენე ორი ბრალდება: ერთი ზოგადი, ერთი კონკრეტული.

1) პირველ საქიროების ზოგიერთ საგნებს კოოპერატივში უფრო ძვირათ ჰყიდიან, ვიდრე საჩხერის ვაჭრები საზოგადოთ.

2) ვაჭარი მამალაძე (შემიღება გვარი სისწორით არ მახსოვდეს) ფუთს სიმიდს ჰყიდა ექვს აბაზათ, კოოპერატივი კი რვა აბაზათ. საქირო იყო, კოოპერატორებს პირდაპირ ეთქვათ, მართალია ეს ორი ბრალდება თუ არა. იმათ რომ ეთქვათ: არაფერა ამის მზგავსი კოოპერატივში არ მომხდარაო, მათი სიტყვა ჩემთვის უფრო საბუთი იქნებოდა და მე ბოდიშს მოვიხდიდი.

ამის მაგივრათ კოოპერატორები მიჩვენენ, სამი კაცი აირჩიეთო.

რა საქიროა სამი კაცის არჩევა, ან თქვენი წასვლა. თუ რაიმე ნაკლი აქვს თქვენს ახალსა და მეტათ სიმპატიურ საქმეს, გაასწორეთ, თუ არა აქვს ნაკლი, ბრძანეთ და მე პირველი ვალიარებ ჩემს შეტკობმას.

პირველმა კოოპერატორებმა თვითონ აირჩიეს სამი პირი, მათგანშიერთს ვასახელებ მე საჩხერის მოსამართლეს ბ. ნიკურაძეს.

ამ სამმა პირმა უნდა დაადასტუროს სპმართლენ ან სიყალბე იმ ორი ბრალდებისა, რომელიც მე წამოვყენე.

გ. კუჩუგვი

გ ვ ა ვ ე

ნოკიალებულ ცის კამარაზე ლაღად მისტურავს ნამვალა მთვარე და შუქ-დაფენილ თეთრ შარა გზაზე ისმის მეურმის ღიღინი მწარე. ღიღინებს იგი და იმ ღიღინით სულის წუხილიც უმსუბუქდება, — აღმამანსს დარდი, ვარამი, მწარ ტკბილ ღიღინით გამოითქვება.

გ. კუჩუგვილი



ც ს ო გ რ ე ბ ი ს ს უ რ ა თ ე ბ ი

წუთისოფლის სამართალი

I

ხშირათ ვხედავ მე ჩვენს ბაღში
ერთ მოხუცსა, მიხრწნილ მსკოვანს:
თოვლივითა გათეთრებულს,
ოთხმოცდაათ — თუ ასწლოვანს

თვალში ძლივსღა იხედება,
გზას ძლივს იგნებს, ძლივს დაჩოჩავს...
წელმოხრილი მიწას დასცქერს:
თითქო რასღაც ეძებს, ბოკავს...

მაგრამ სახე.. სახე მიინც
სიხარულით აქვს გაშლილი:
თან დაყვება, ათამაშებს
პაწა შეილისშვილისშვილი!

ხან გარშემო უტრიალებს,
ხან კალთაში აფრინდება...
ფეხს წაიკრავს, დაეცემა,—
მაგრამ წამსვე აფრინდება

ხან რაღაცებს უტიტინებს...
უტიტინებს ბავშურ კორგებს—
და მოხუცი, ღებნით სახსე,
თვილსა და ყურს არ აშორებს.

გულში ამბობს: „ჩემო დღეო,
აწლა მცირე დაჩრწინილო!
და შენ, პაწავე, სიხარული
ჩემო, ჩემთვის გაჩენილო!“

„მოახლოვდა... მე სიკვდილი
ხშირათ თვალწინ მელანდება...
და დროც არის, თან კანონიც:
კვდება, რაც კი იპალება!“

„მაგრამ გმადლობ შენ, უფალო,
რომ სიბერე დამიამე—
და ეს ღებნა მომანიჭე,
მომანიჭე ეგ სიავე!“

და ყურს უგდებს ბავშვის ტიკტიკს,
თვალს აყოლებს მის ტკბილტკბილს..

გულს იხუტებს, თავზე კოცნის...
სევამ ნექტარით სახსე ჭაღალს!..

II

აგერ.. აგერ ის მოხუცი!
რა ხანია არ მინახავს...
დაჩოჩავს და დაჩიფჩიფობს,
ხან ხმამღლა რასღაც ჩმახავს...

ხელებს აქნევს უშულოდღვით,
თავი მძიმე დაუხრია—
და თვალეშიც სოველი აქვს:
ჩანს— ცრემლები დაუღვრია...

მარტოთ დაძრწის, მარტოთმარტო,—
თან არ ახლავს ის პაწია...
და მიჩონდა ახლოს სკამთან,—
ძლივსძლიობით მიაწია...

მივედი და მივეხმარე
მკლავში ხელს მოკიდებით,—
სკამზე დავსვი, გვერდს მოვუჯექ...
ზოლოს ვკიახე მოკიდებით:

„ბ.ბუ, სად გყავს ეს პაწია,
აქ — ბაღში რომ დაგყვებოდა,
ხან გულ-მკერდში გეხვეოდა,
ხ.ნ კისერზე გახტებოდა?..“

და როს ვკითხე, მხოლოდ მაშინ
შევნიშნე, რომ ძაძა ეცვა —
და იმ წამსვე მივხედი, კმუნვით
მისი სახე რას მოეცვა...

გვიან მივხედი... ჩემი კაპებით
სცვლა მშარეთ ავუშაღე—
და ქვიაინი, ცრემლების ღვრა
ველარ:ფრით დავუშაღე..

დღესაც დაძრწის მარტოთმარტო—
და სიციცხლის ნიშანწყალი
ალარაფრით არ ეტყობა,—
ძლივს დაჩოჩავს ის საწყალი..



დაჩოჩავს და თან ჩიფჩილუს:
 „ვერ შევიძელ მის გაგება,
 თუ რათ, რათ გვსჯის ასე მწარეთ
 ღვთის კანონი, ღვთის განგება!..“

„სიციოცხლის და ნეტარების
 რათ დაგვიშრო წყარო ტუბილი?
 ნორჩი რისთვის წაყვანა,
 რათ დამტოვა აქ, მიხრწნრი?!..“

„ვინ ამისნას ღვთის ბძანება,
 ვინ, ვინ მითხრას მე მართალი:
 ნუთუ ცაშიც, ვით ამ ქვეყნათ,
 ატარ არი სამართალი?!..“

სიყვანი.

სულის განცდანი

ღამე

ახ, რომ იცოდე, რა რიგად მიყვარს მე
 ღამე.. მხოლოდ მაშინ, მაშინ შემიძლიან
 მიესწვდე სიციოცხლის საიდუმლოებს...

მე მიყვარს ღრუბლები, რომლებიც ცი-
 ლან ზღაპრის საამბოდ ჩამოსულან მთებზე...
 მე მესმის მათი ზღაპრები და ყოველთვის
 ყურს ვუვადებ ხოლმე .

მასხოვს, ერთხელ, ერთი მათგანი მზისა
 და მთვარის ზღაპრას რომ ამბობდა: როგორ
 შეიყვარა მთვარემ მზე და მისი დარღით რო-
 გორ დაუძლურდა და დაჰკარგა სიძლიერე..
 ყოველ თვეს მიუ ხლოვდება უბედური
 მზეს სატრფიალოთ და ყოველთვის დაინი-
 დება, ისე დასუსტდება, რომ უხილავი ჩნდებ-
 ბაო... — ძლივს დათავა თავისი ზღაპარი
 ღრუბელმა და მეტის სიბრაღულით ცრემ-
 ლებათ დაიღვარა.

მის შავ სუღრაში მე ვხედავ უტყბ ძა-
 ლას, რომელსაც სიკვდილს ეძახიან და რო-
 მელიც ასე აფრთხობს ადამიანთა.

შუა ღამ სას, მაშინ, როდესაც ერთი
 პირი ძალი წყალსაც კი მოუღია, ის რაღაც
 მანქნებით აღებს მიწის პირს და შიგ ადუ-
 ლებულ კუპრს ასხავს. მსწრაფლ იხურება ის
 და ქვეყნელის ყრუ ამოძახილს ყრუოვან იმე-
 ორებს სამყარო...

ბერგი, ბერგი რამ საიდუმლო ინსებმა
 მაშინ..

ღიღ, მე მიყვარს მე მიყვარს ღამე..

ცრემლები

თქვენ რომ არ იყოთ, არა მგონია თუ კი-
 დვე შესძლიებდი სიციოცხლეს.. თქვენ მსგავ-
 სად მთის ნაკადულია, რომელიც შუაგული-
 დან გამოქუბს, რომელიც ასპეტაკებს და
 ჰბანს მის შინაგან სახეს, — ისე უმსუბუქებთ
 და უამებთ ადამიანს გულის ტრილოზებს..

ყოველთვის, როცა-კი ჩემს სულსა და
 გულში დანსადგურებს სეგდა და სიბრტოვე,
 მოგისმოხთ ხოლმე, და თქვენც, ერთგულ
 ამხანაგივით, განუყრელად ჩემთანა ხართ და
 სიციოცხლის აიხზათ მეტყურებო...

თქვენ პირველად საზოთხას ბაღში დაი-
 ღვარეთ და იმისთვისაა, რომ ადამიანი ბედ-
 ნიერებაშიც-კი უთქვენით ვერა სძლებს.

ვერღა და ადამიანი

შუღამ სას ჩემს სამეცლინო ოთახში
 ვიჯექი და სიკვდილ-სიციოცხლზე ვფიქრობ-
 დი... ჩემი ყურადღება წუთით ერთმა პეტე-
 ლამ მიიპყრო, რომელიც მოუესენარდ ჰფერენ-
 და სანათურის ირგვლივ და შიგ ჩაფრენას
 ღამობდა.

ბევრჯერ, ბევრჯერ დავიტივ, მაგრამ ის
 მიანც მიფრინდებოდა ხელიდან და სანთ-
 ლისაკენ იწვედა...

ვაჩჩვევდი, ყოველ მიფრენის დროს, ის
 ერთგვარ აღმაფრენას განიცდიდა... სიხარუ-
 ლით თავბრუ ვსმობდა და ძირს ვარდებოდა...
 მაღე ისევ ვამოტრევევოდა და თავისას განა-
 გრობდა...

ერთხელაც ისკუბა და მოულოდნელად
 შიგ ჩაარდა.

ფრთები დაფსუსხა საბრალოს და თითო-
 ნაც დაიწვა.

მსწრაფლ ავხადე სანათურს თავი და
 გულმომკვდარმა ამოვიღე უსიციოცხლო სხე-
 ული მისი.

— ეხ, საბრალო ადამიანო, შენც ერთ-
 გვარი პეტელა ხარ, რომელიც სინათლის ძიე-
 ბაში ჰკვდება! — გმიღევა უტყბ და ღრმა
 ფიქრებს მივეცა თავი.

ლ. ძიძიგური



ს ა ბ ე

(დასასრული.—იბ. „თ. ლ.“ № 38—39)

— წადი, ბიჭო აქედან.—მრისხანელ უბრძანა თევდორემ, რომ საბას არ გაეგონა წამაქნებელი სიტყვები და მერე გამოსწორებოდა ენა-ყია დედაკაცს.

საბა არ იძვროდა.

— წადი თქვა რომ გეუბნები, არ გესმის, — და ჩამჯდარ საბ.ს ფეხა ჰკრა.

საბა წაიქცა, უცბათ წამოხტა და მოკლედ ხელები ისეაის ძლიერებით სტაცა ფერდებში, რომ ტკივილისაგან და მოულოდნელობისაგან თავზარ დაცემულმა თევდორემ ყვირილი მორთო:

— მიშველეთ, მომკლა ამ ურჯულომ...

ყვირილზე ხულიდან გამოვარდა თევდორეს ცოლი; საბასთან მისვლა ვერ გაბედა და კრუხა ქათაოივით მიმობროდა.

თევდორე წიწილივით ჰყავდა საბას აყვანილი პაერში და არავინ იცოდა, რას უპირებდა.

მოხუცებული მამა თავის სკამ-ლოგინიდან იძახოდა:

— გოუშვი, ბიჭო, შე ღმერთ-გამწყურალო, გოუშვი და ეძებდა დასარტყმელად კეტს; მხოლოდ დედა გამოვარდა საშარტყლოდან აფთარივით და მოჩხუბრებთან თამამად მივიდა:

— წიგე შენ გავდე რამეს, შე გლახა, შენ! სანუგეშო შვილს მიკლავ, შენზე კი ავტირდი!...—დაუქაქანა ჭაღმა და საიასკენ წაიწია, მაგრამ ხელი აღარ უხლითა, რადგან საბას სასწრაფო დედარანჯა სახე და თვალიდან ცრემლები წამოსკდა.

— რავე დედაბერავით ტირი, შენ კი დედილზე, შე ღენო და დედამამის შემარცხენელო! — ამოანთხია დედაკაცმა უკანასკნელი გესლი და უკანვე გაბრუნდა.

— მიგის ცოდვა მოგცათ! — გადმოიძახა სალომემ დობიდან და მიიმაღა.

საბა ნელ-ნელა გაიპარა, მივიდა სატურზე, ჩახედა ქურში, რომელშიც შეაჩნია წინაღვე ჩასხმული წყალი, ჩაავდო თავვისარას ორჩხოში, მიუჯდა, ვაშალს თავისუფ-

ლად ფეხები და უზოგველად დაიწყო რცხა. არავითარი აზრი არ ჩერდებოდა თავში, რა-ღაც ნაპერწყალსავით გაუელვებდა და მიჭქრებოდა, ძლიერის მუშაობისგან ხვითქად მოდიოდა ოფლი...

გული ოდნავ დაწყნარდა. ფიქრმა ხტუნვა ნიატოვა.

— ყველა, ყველა, მარა დედა?... მე არ ვარ შვილი თუ? ავღლებ და არ ვიშუშავებ, მარა რომ არ მაქამონ!.. გამლახონ... თედორე-უუ! — ლონიერია, მაშინ გამიჩუმიდა, თვარა... წავალ... თუ აქანეი დღეს არ ვეცოდებო, ვინ შემიცოდებ?... ქუთივის წავალ, ვიმთხობრევბ... სირცხვილ-ა!..

ამ ფიქრებში გართული საბა მუშაობას არ უკლებდა. თავვისარათი უკვე ამორცხვა; ამოასხა ნარეცხი, ოსპილოთი ამოამშრალო, ბალის ქერქით ქურს თავი გაურცხვა, წყაროდან კოკით წყალი მოიტანა და ბალის კანის ორჩხოვით ხელმეორედ დაიწყო ქურის რცხა.

თევდორე ვერ დაშოშინდა. რომ იქ მყოფთათვის ძალა ეჩვენებინა თაროზე ჩამოკიდებული ჯანჯუხი კუთხეში მიაგლო, ცოლს ადამბერდი და გამოტენილია მიაყვია, მამას უბრძანა: ხვალ დილას ხარები კარგად გამოძღვ, ჩალის მოსატანათ უნდა წავიდეო; პატარა ხუთი წლის ბიჭს ერთი ლონიერათ აუსრისა ყური, ისე რომ მთელ ეზოში დიდხანს ისმოდა მისი წივილი სანამ არ დაექადა, გაჩუმიდი თვარა მთლად მოგჭრი მაგ ყურებსო. მიანც ვერ დაშეშვდი და საბას ქუქის სასწავლეო ბლათ გაემშარდა.

საბამ ფეხის ხმაზე შეატყო, რომ თევდორე მოდიოდა. მთლად გაიხარა წელში, თავი თითქმის ფეხზე შუა ჩადვა და მოყაითად და ლონიერათ უსობდა ქურს ორჩხოვს.

— ვის გაუბედე, ბიჭო, შენ ხელის შებრუნებო? — პატარა სიჩუშის შემდეგ დაეკითხა თევდორე.

საბამ განაბა სული და უმატა მუშაობას.

— შენ გეკითხები, შე ძალო, შენ! — და ორათ გაეკეცილი ხარის საბმელი ბაწარი მთელის ძაღლანით თავიდან ბეჭებზე გადაჰ-



ლ ე ვ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი

(გაგრძელება. იხ. „თ. ც.“ № 35)

აღექსანდრე ბატონიშვილის შედარებითობა, უაინის და ხანების განზრახვით უფლა ამიფლო-ბელეს დაღესტნის მშვეობლებთან შეთანხმებით მ. ცინიანოვის დაღესტით მოკვლის (8 თებ. 1805 წ.) შემდეგ სურთ მიიტყუონ რუსთა და-შქარი კახეთს და ამოეღებინათ, მაგრამ იმედი უნრუდებათ და მალე რუსთა მშერობელობა სა-ქართველოს და ამიერ კავკასიაში უფრო მეტად ფართოვდება და უფრო უმეტესად მტკიცდება.

არა გამოდისრა 1810 წლის გეგმითაც, რომლის თანახმად ტფილისზე იერიში უნდა მოეტანათ იმერეთიდან სოლომონს, ახალციხე-დან ქუთაისი უფლი-ხანს, ნახანგევან უარაბლიდან ბაბახანის ძეს აბას-მირზას, ერევან ფაშაზე-შურაკელიდამ ალიშაჰ-ხადეს და ასეთიდან 24 წლის ჭაბუკს ლევან ბატონიშვილს *), რომელიც, დავით ბატონიშვილის ცნობით, ასეთში შეეგზავნათ სოლომონ იმერეთს შეეფს. (მასალე-ბი საქრთ. ისტ სივის, გვ 92); ხოლო სხვა უნრუდებით ლევანის ასეთში მოქმედება მიეწე-რება სხანსეთის უაინს (იხ Утвержд Руск владыч на Кавказе მოტრის რეაქტორო-ბით ტ. II გვ. 227).

26 ივლისს 1810 წელს ლევან ბატონი-შვილი ჩამოაღვა ასეთის სოფელ კახეს და იქი-დგან მიჰმართა ქართველ თავადებს წერილით: „თუ თქვენ არ დაგიგწვინათ მოწველებანი და დამსახურებანი თქვენის ბუნებრივ ბატონისა, წამსვე გამოხანდებით აქ. ამისთანა შემთხვევის და დროს ედარ ჭიკობით: ქვემო მხრიდან მო-ვიდა უაინი დიდის დაშქრით, ხოლო აღექსანდ-რე ბატონიშვილი დღეს თუ ხვალ მოვა 12000 მთავრით ადგა იმერეთიც ისე, რომ სხვა იზრებოდან რუსი, უფლა გუბლიტეს და მისრეს. — უმაღ თქვენდ დაუოზებლივ მოადით“ („უტყურო-ქდენივ რუსიკ. ვლადინესტა ნა კავკასიე“: ტ. II, გვ. 228).

ასევე კარკად მიიღეს ლევანი, მისცეს ბინა და აღუთქვეს დახმარება.

მაგრამ ეს დაწვობილობაც ჩამაღა, რუსის ძლიერებამ უნუბრუნა მტრები და ლევანის შესაწერობადაც ზომები მიიღო.

გაიგო თუ არა მთავრობამ ლევანის ასეთ-ში მისვლის ამბავი, გატყავნა გენერალ შიორის ახვერდოვი ცხინვალს იქურ დაშინებულ ხალხის დასამშვიდებლად და ლევანის მიერ ასეთში აღ-ძრულ ამბოხების გაგრძელების მოსახზობად მან გასცა ბრძანება: „შეიბუარით უფელან ლევანის შიკრიკებით“.

ერთ შემთხვევას ადინაშავს დავით ბატო-ნიშვილი (მასალეობი 93): „წუელსა 1810 წარუდინა მეთვის-ძე აღექსანდრემ ერე-ვით ლეანს მთასა შინა დოდაქე იესე, კაცი მისთალი და წმიდა, ვინათკან იყო გაზდელი მისი ლეონ, და თანა წარატანა ტა-ნისამოსი და რაოდენიმე თერთი. მისრული დო-დაქე სასირეთს ისტუმრა ტარად გლურჯიძემ და განუსვენა დამესა მის, ხოლო დღესა მეორე-სა, წარვდარა დოდაქე, აშენო ესე გორს ციციშვილს დავითს, რამეთუ ესე დავით იყო მას ჟამისა შარმალი. ამან შეუქრნა ტხანი დო-დაქეს, შეიბურა და მიჰგვარა რუსთა და მიულტ მინაქვანიც იგი. ესე ანობეს რუსთა ტორმა-სოვის გორით, და მიუწერა კამედატსა გორისა, რათა მოაშითოს იგი მუნ... დამოკიდეს ძელსა და მოაშთვეს“.

მაგრამ მარტო შიკრიკებისა და ბატონი-შვილის დამხმარების დევნით არ დაქამეთივლად გენერალი ახვერდოვი; მან ამისთანავე მოუწოდა 200 შეიარაღებულ მთიულსა და კუდამაურულს დასაზრებულ ასების იმ სოფლებებისა, რომელნიც მიემხრნენ ლევანს, და ამავე აზრით სურდა ასე-თამი გატყავნა ქართველთა რაზმი ქვეითა ჟა-რისა და ზარბაზნის მიხმარებით. **) მთავარმარ-თებელი ტორმასოვი ძალიან უწონებდა უფელს ამას და უნრედ არ შეეწოლა აღბორკვებულნი, მაგრამ იმავე დროს იმელოყებდა სიმშვიდით მიებინა ლევანი, და ამიტომ უბრძანა (ახვერ-დოვის) ბატონიშვილის მოსაქცევად ტაგეზავნა

*) ბუტკოვი ამბობს, რომ ლევან იულონის ძე 1801 წელს იყო 15 წლისა (ტ. II გვ 500). მაშასადამე 1810 წელს იქნებოდა 24 წლისა სხვა წყაროებში აღნიშნულია 19 წლისად.

**) კავკასიის არქივორ. კომისიის ოქმები, ტ. IV № 145.



ადმინისტრაციული დეპარტამენტი ქართველიშვილი.

მიხედავთ ამგვარ მოცულობისა დაიღობა თხოვნის თვით ლეგის მამის იულონისა, რომელსაც ხელმწიფე იმპერატორის წინაშე ეშუაშეღობა, წარუგზავნათ მის შვილის ლეგისთვის უმადლესი რესკრიპტი დახარებით, რომ იგი რუსეთში მოსვლის შემდეგ მიღებულ იქნება მთავრობის მთავრელების ქვეშე, და ამასთანავე უმადლესი რესკრიპტი და მისი (იულონის) საკუთარი წერილი ერთად სანდო პანის ხელთ ჩაბარებისათვის ლეგისთვის.

მამის იულონის ლეგის ეკუთვნის და სანდო ბაგაში, მოქმედდ ერთად სანდოშიც იმყოფება ქვეყნულ პარტიის შვილების, რომელთა ძიებანი მას უკვე მიანდა რიტორიკად და უგუნურებად (იქვე, 229).

ტრამისიონის დაგება ქართველიშვილის დაქვემდებარებას ლეგის, რომ თუ იგი თავის თავად მოვა შენახებულად, უხვად დასაწყობებულ

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი ს ბ ე ღ ი

სავალდებოლო ქართული თეატრის ბედი თბილისში...

შესამე წყლიწადა დაიწვა ქართული სათეატრო დარბაზი და, სათეატრო საქმის შესვეურთა დაუდევრობით, ღამის თვით თეატრის სული და გულიც — ქართული სასცენო ხელოვნება, ერთგუნდი სანობა და სარდაში მწერლობა — ცენტრშია შენახეს, ქარმა ზიდაოს...

თეატრის აღსადგენად არჩეული კომიტეტი სიდათას ძიებს მიგნებას.

ქართულ უხუცეს დრამატულ საზოგადოებას გამკაცობა, როცა უფრო თეატრი დატვირთვა და სკოლი განაღებულად, თითო მისაჩვენებლად შეადგინეს, გერმანულად დასს; სათეატრო, სუბსიდიის ხელთ იკლებს და მხოლოდ ნიანების ცრემლებს აფრქვევს: თეატრს არ გადმალენ...

ანუ ვიდაცას და რადაცას სახევენ დაბრკოლების მიზეზად...

გერმანულად ვიდაცა ქართ. დრამა. დასის მისაბობანი გაზაფხულ-ზაფხულში, — ამ დროს ჩიტინ კი ცის ქვეშ თავისუფლად ცხოვრობს, — დაბა-სოფლებში ახუკლებს სცენებზე ცოდვით დაბრკოლებს, სამართლის პირში მოხვედრას უფეროდ — გერმანია, გერმანია, იმდენს იმდენს (უფროსი ბედიერანი) დასს შეადგენს, სთავად ახსნურთ

იქნება და ხელმწიფის წინაშე გულმოდგინე შემწეობა აღმოჩენება. მაგრამ დეკ. ქართველიშვილის შუამდგომლობა სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღობა. „ლეგის დასუსტებულ თავში“, სწორს რუსი მეპატონა, *) „სიმხურვალე ისეთი დიდი აღმოჩნდა, რომ მან არფერად ჩააგდო ერთმხროვნეობა ჩვენთან და თვით შვილებრივი მოვალეობანიც“ და უმასხუხ ქართველიშვილს: — მის შემდეგ, რაც ჩემმა მამამ, ლედიმ და ნათესავებმა აღიარეს თავისი რუსის იმპერატორი, ერთხელ და სამუდამოდ უარყვა ივინი და არასდროს არ ვიქნებო რუსთა მთავრობის მოწველებათა მძებნელი (იქვე, 230). მ. ჯანაშვილი (შემდეგი იქნება)

*) Утверждение русск. влад. на Кавказе, т. II, стр. 229. **) Утверждение русского владычества на Кавказе, т. II, стр. 230.

სუბსიდიადან ერთ ნაჭერ ულუფას გაიკრუნ და დროებით განსიყენებენ — ხვალ ღმერთი მიგუცემს...

ქართველი ინტელიგენციის უმტკესობა მხოლოდ ზიდაობა ბნელეთი ერთობა: შედამედი ცარეში, ნაშუადამეუს — გულში.

თბილისში სათეატრო საქმეს ამ უმად სახალხო წარმოდგენების მმართველი წრედა თუ უძღვება და ამასაც ეცილებიან — დღეები ჩვენს უმადლესად.

მაგრამ დღეები ან სულ არ გახვდება, ან თვეში ერთი — ირ...

და თუ როგორმე ვინმემ დღეები უწავლობს დასი მოხვედრას ძველებურ ჩვენებურ წარმოდგენებს: მოუზიდავდღევი, შესანსულუ ბიუსების დადგმას.

ტარებობა ცეცხლად მის საკუთარი თეატრის დროთა მიხედვით; დაბა-სოფლებიდან და თვით ბრძოლის ველებიდან გაფრთხილებით შემოკვეთებენ — აცა რად დაიწვება თეატრის შენება, რომ ხელი წაახშობროთ და ჩვენი ამშენებელი კი ჭეშუმები...

როდემდის ასე, როდემდის კურთხეულნი შეიღობ ჩვენის ქვეყნისა?!

გვინებ, დროა ერთხელად არის სინამდვილეს თვალბობა ჩვენგან და საკუთარ თეატრის ამშენებასე დროთა ვიზრუნოთ, თარგმნა მშენებლობით ჩვენი სასცენო ხელოვნება ვერ ასაზრდობებს.

ნოსტე პრინციპილი

მუნჯ სიმღერებიდან

კრულია შენს სახელს!.. კრულია შენს სახელს!.. სატ'ფოვ თაღლითო! სატრფოვ-ცბიერო! — შენ ჩემი გულის დაღუპისათვის ზეცამ მოგკითხოს საამაგიერო!

ჩვენი ალერსი გარდაიცვალა. არც ახლით მძულხარ, არც შეუმჩნევლად; ხოლო კი გეტყვი: არ ძალმიძს მეტი—და ეს სიჩუმეც მიიღე წყევლად.

ი. გრიშაშვილი

ღ ე ღ ა

შემოდგომის ღამეა, სევდიანი სნეული...
წვიმის ხშირი წვეთები, ცრემლებად დაფრქვეული,
მკაცრი, გაფთრებული, მრისხანე გრიგალ-ქარი,
მქნარი, გაყვითლებული ფოთლებისა ღაშქარი,
ნისლიანი ჰაერი, უსამოსო ხეება,
უცნაური ლანდები, სამარის სახეები,
გაუგებარ სურვილებს დალილ სულში ჰბადებენ
და ცრემლები ღაწვებზე უსიტყვოდ ჰბადადებენ.
და შევდივარ ოთახში... ვწვები, მაგრამ გონება
ვერ ისვენებს... ძილს მიკრთობს ზავშობის მოგონება.
სასურველი, ძვირფასი, მზეებერ მანათობელი,
და ვგრძნობ კარი იღება, მოდის ღედა—მშობელი
მზრუნველობა-ალერსით ასე მეჩურჩულება:

„დაიძინე, ფიქრებით გული დაგეწყულდება“
ხანგრძლივ კოცნით მიმშრალვებს სახეს ცრემლით ნაბანსა,
ხან ნანინას მიგალობს, ხან მისწორებს საბანსა..

ხან ზღაპარს მეუბნება: ერთი ქვრივი სცხოვრობდა
მარტოხელი, საწყალი, ვიღოდა, მათხოვრობდა,
არვინ ჰყავდა პატრონი, მხოლოდ მისი შვილი-კი,
რომლით უნდა განევლო მას სიმერის ბილიკი,
ჯერ ისევ ნორჩი იყო, პატარა, პაწაწინა,
მაგრამ ისე ღამაზი, რომ მის სიტურფის წინა,
მზე-მთვარე ბნელდებოდა. ვარსკვლავები ჰქრებოდა
და ამ შვილის წართმევას მდგვი ემუქრებოდა“..

მიამბობს და თან გულში მხურვალედ მეხუტება
და მის ხმაში რამდენი სინაზე იხატება!..
მაგრამ უცებ გრიგალი, ავსებული ბრაზითა,
ფანჯრის მინებს ახეთქებს, გადანაბამს რაზითა,
და ვერკვევი. მუცს ჰქრება ძვირფას მშობლის ჰმანება,
სასურველი ოცნების დათმობა მენანება,
ესტერი, ღედას ეძახის ცრემლები თვითეული..

შემოდგომის ღამეა, სევდიანი სნეული.

გ. მეგრელიშვილი



ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი

გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 39

კლ. რა კარგი კაბაა ეს! აბა უყურეთ! რა კარგად არის მოქარგული... ახლა აქა... აქ... (ანიშნებს თითოთ რაფაქნიმე დაბადებაზე). ესენიცი! (ანიშნებს ვერცხლდის თავებზე და სხვა ვერცხლდის მორთულობებზე, რთაგ მორთულია წიკნები და დაბადებუბა). რა კარგებია! რა შეინერგები!

ენრ. ჰო, ეს ძალიან კარგია!

დიეგო რისთვის არის ყველა ეს? რა არის?

ენრ რა არის?

კლ. რა არის ეს? ან რისთვის არის?

დიეგო. (დაფიქრდება რაფაქნიმე წუთი, უნებ გამოურგვკა და სხე გაუნათლდება სისხრუფით). ჰა—ჰა! ახლა მივხვდი...

კლ. და ენრ. (ერთად) რა? რა?

დიეგო. ახლა მივხვდი რაც არის ყველა ეს. ესენი უეჭველად ის საჩუქრებია, რომეცსაც მამა დამპირდა დღეს მოსაცემად. გახსოვს, კლარა, რამდენჯერ დამპირდა მამა ძვირფასი საჩუქრების მოცემას, როცა ცამეტი წლისა გავხდებოდი?

კლ. ჰო, ჰო, მამა სთქვა იმისთანამ ძვირფასი და საოცარი საჩუქრები უნდა მოგცე, მერე დღეში არ გენახოსო. მეც დამპირდა კარგსა და ძვირფას საჩუქრებს.

ენრ. მერე რაღას უცდის? რატომ არ გაძლიეფთ? დრო უკვე წასულია.

დიე. მამამ გვიბრძანა, ღამე მოგცემთ, უშალამის შემდეგო.

ენრ. როცა დაწვებით?

კლ. არა! მამამ გვითხრა, ამაღამ ძალიან გვიან უნდა დავწვეთო. გვიბრძანა დღეს მთელი დღე გვიძინებოდა, რათა ამაღამ არ დავგვიძინებოდა.

ენრ რათა?

კლ. იმიტომ რომ მოგვცეს ის კარგი საჩუქრები, რომელიც დავპირდა.

ენრ რატომ დღეს არ მოგვკათ?

კლ. რა ვიცი. (დაფიქრდება რაფაქნიმე წუთი, თითქოს ცდილობს ახსნას ას სჯანა, რა შეიძინ მას გამოცანად ეწყენება).

დიეგო. (მთელ ამ ხანს დაბადებუბას დათვალიერებს უნდება). რა მშვენიერია ყველა

ეს! ოქრო-ვერცხლის მორთულობა, ძალიან კარგია, არა, ენრიკო?

ენრ ჰო, მართალია, ძალიან მშვენიერია, მაგრამ რისთვის არიან? რაში გამოიყენებ?

დიეგო რა ვიცი. (აშტურდება წიკნებს და მორთულობას. ფიქრებში ერთობა) უეჭველი მამა აგვიხსნის რა არის ყველა ეს და რისთვის არის გამოსაყენებელი.

კლ. მეც მომცემს საჩუქრებს, მეც ხომ დამპირდა.

დიეგო. რასაკურველია, ორთავეს.

კლ. ახალი კაბაც შემიკერეს ახლა ნახე ჯერ ჩემი კაბა? ოჰ, რა კარგია!

დიეგო. მეც შემიკერეს ახალი ტანისამოსი. ჩემი ტანისამოსი სჯობია.

კლ. არა! ჩემი კაბა უფრო კარგია.

დიეგო. მერე, რითი იცი რომ შენი კაბა სჯობია? ჯერ ხომ არ გინახავს ჩემი ახალი ტანისამოსი.

კლ. შენ კი ნახე კაბა? დღეს არ მოიხატანა მკერვალმა და ჯერაც არ ჩამიცვამს.

დიეგო. ჩემი ტანისამოსიც დღეს გაათავა და ჯერ არ ჩამიცვამს.

ენრ. მერე, პირველად როდის ჩაიცვავთ თქვენ ტანისამოსს?

დიეგო. დღეს.

ენრ. დღეს?

კლარა. ჰო, დღეს.

ენრ. ღამე, ამ დროს?

დიეგო. ჰო! მამამ ეგრე გვითხრა.

ენრიკო რათა?

დიეგო. (დაფიქრდება თითქოს ცდილობს გაიგოს საქმის შინაარსი) რა ვიცი.

კლარა რასაკვირველია მამას ეცოდინება რათაც. დედისა ვკითხე და მიიხრა, რამდენიმე საათიც მოიცა და ყველ ას გაგიგებო. ცოტა ხანიც-ღა დაგჭირჩენია და ყველას გავიგებთ, არა, დიეგო?

დიეგო. რასაკვირველია.

ენრ. რა თქმა უნდა, კიდევ სხვა ძვირფასი და მშვენიერ ნივთებს დაამზადებდნენ თქვენი მშობლები თქვენთვის, როცა ამხირდიდ მზადებაში არიან.



დიეგო. მაშ, მაშ. უტყველად. მამამაც
ეგრე მითხრა. მამაჩემმა მითხარა, ეს დღე
დიღათ საპატრიო დღეა შენთვის და მთელ შენ
სიცოცხლეში უნდა გახსოვდეს! მამა ჩემმა
მითხრა, დღეის შემდეგ, შენ პატარა კი აღარა
ხარ, არამედ კაცია.

ენრ. კაცი? (აწინას) შენ ხო ჩემზედაც
პატარა ხარ.

კლარა. მართალია, მართალი დიეგო
მართალს ამბობს! მამამ ეგრე უთხრა, მე თეი-
თონ გავიგონე.

ენრ. გამიგონე, დიეგო, ზვალე ხომ პა-
ჩვენებ ყველა იმ საჩუქარს, რასაც ამაღამ
მიიღებ.

დიეგო. უტყველად, სუყველას გიჩვენებ.
კლარა. იცი, ენრიკო, რა გითხრა?

ენრ. რა?

კლარა. შენც ჩენსა დარჩი, სანამ მო-
გვემდენ საჩუქრებს და ნახავ.

ენრ. (დაფიქრდება ერთ წუთს) აი, საცაა
ეხლავე ჩენი მოახლე შოვა და დამიძახებს
სახლში წამოიღო?

დიეგო. როცა დაგიძახოს, უთხარ, წადი
და შე თვითონ მოვალ-აქო, და ისეც ჩვენთან
მობრუნდი.

ენრ. მარტო?

დიეგო. მერე რაა? თქვენი სახლი ხომ
შორს არ არის: აქედამ სულ ათი ნაბიჯის
მანძილზეა.

ენრ. მაგრამ მაინც მეშინია ღამე მარტო
სიარულისა.

დიეგო. რისა გეშინია? თქვენს სახლსა
და ჩვენ სახლს რგველიც ხომ სულ ღარაჯნი
დადიან და ისინი არასფერს დაგიშვებენ: არც
არავის გაუშვებენ, გავონ რამე.

ენრ. მე მეშინია „წყეული უწმინდური
უჩიისა“.

კლარა რა არის ეგ „წყეული უწმი-
ნდური უჩია“?

ენრ. ის არის საშინელი ეშმაკი, სულ
შავი თავით ფეხამდე. კეთროვანი და ბა-
ნძგელიანი, თმები ძალიან გრძელი აქვს. ღამე-
ღამე, იმ დროს, როცა ყველასა სძინავს, სა-
ქურდავად გამოდის..

კლარა (აწუვეტიანებს). რატომ ყარაუ-
ლევი არ იქერენ?

ენრ იმიტომ რომ ჯადოქარია, და თავს
გაიძიკვებს ხოლმე მხილველად და არ ხილუ-
ლად ის დაიარება ქუჩაში, და როცა ბავშვი
შებედება ან ყმწვლი, შაშინვე დიქერს,
შეჭკრავს მსხვილი თოკებითა, ჩისვავს გულაში,
რომელიც სულ მუღამ ზედა ჰკიდა, და გა-
უღდება გზას.

კლარა. (ყურს უგდებს შირ გადებულა და
თვალზე გაჯანიერებული. სხაზე ესატება საღაღ-
ღუმლა შაში, და ეკვრის ენრეკოს თათქოს
სისხს ევედრებაო. წამოსთქვამს ჩურჩულით თა-
თქოს ხმას ამოდებისა ეშინაო). მერე, რას
უზავს იმ ყმწვილებს, რომლებსაც დიქერს?

ენრ. წაყვანს ერთ დიდ გამოქვაბულში,
რომელიც მიწის ქვეშა აქვს, იქ მოჰკლავს,
გამოაცლის სისხლსა და ხორცს კიდე სქამს.

კლარა. სისხლი რაღათ უნდა?

ენრ. იმიტომ რომ იჯადოქროს. იმიტომ
არის ასეთი დიდი ჯადოქარი და ყველას ეშ-
ნიან იმისი.

(მაუსა. ემაწვილების სახეზე ისატება შაში)

კლარა. რით იცი ყველა ეგვი?

ენრ ჩვენს მოახლე მიამბო, ბევრი, ბე-
ვრი საშინელი ამბავი მიამბო, წყეულ უწმი-
ნდურ უჩიის შესახებ. ოჰ, რა საშინელია.

დიეგო. ოჰ! სულ ტყუილია! მაგ ზღა-
პრებს უამბობ ყველა მოახლე ყველა პატარა
ბავშვს, რათა დააშინოს ტირილის დროს, ანუ,
როცა ცელქობენ და იმათი სიტყვა არ ესმით.

ენრ მაგრამ რით იცი, რომ ყველა
ეს ტყუილია?

დიეგო. ჩემმა მისწავლებელმა მიამბო,
უჩია იგივე კაცია, როგორც ყველა სხვა
კაცი: როგორც მამა-შენი და მამა-ჩემი, და
ის, არც იპარავს, არც იტაცებს ბავშვებს, და
არც არავის არას უშავებს. მხოლოდ ძალიან
საბრალოა და უბედური, ვინაიდან უფლის
წინაშე ჩაიღინა ერთხელ დიდი ცოდვა, დემე-
რთიც განურისხდა, განდევნა თავის სამშო-
ბლოდან და მას აქეთია დამჩრწის და ილტვის
მთელი თავისი დღენი, ილტვის ქალაქიდან
ქალაქში, სოფლიდან სოფელში, რაცა კი
მივა ითხოვს ღამის გასათევს ადგილს, ერთ

ნატეს პურს—შმიშლის დასათრავუნავად, ერთ ქიკა წყალს—წყურვილის მოსაკლავად. ვინც კარგი ხალხია, იწყვეს სახლში, ზრუნავს მისთვის, უწყ-ლობებს რაც ესაქიროება და პატიოსნად ეტყვიან. რათა? იმიტომ რომ ახლა უკვე მიიქცა თავის უფლისადმი, შეიქმნა კარგი და წრფელი. მხოლოდ ბოროტი ხალხი სდევნის, სცემს და ცილსა სწამებს.

ენრ. შენმა მასწავლებელმა გითხრა ეგერი?

დიეგო. ჰო, ასე მითხრა. და ჩემმა მასწავლებელმა თქვენს მოახლეს მეტი იცის. ჩემი მასწავლებელი ძალიან წასწავლი კაცია, ყველაფერი იცის.

ენრ. მაშ რათ ამბობენ: „წყეული და უწმინდური ურიაოა. რათ ავინებენ და ლანძღავენ ყველანი“?

დიეგო. ჩემმა მასწავლებელმა მითხრა, ცოდვია სიტყვა „წყეული და უწმინდური ურიაოა“ ისიც არ იქნება, ვალნძლო და შე-ფინოო: ჩემმა მასწავლებელმა სასტუკად აღმიკრძალა მაგისთანა სიტყვების ხმარება.

კლარა. მართალია, მართალია, მეც ავრე მითხრა მასწავლებელმა. და ისიც დაუმატა: ისეთ კაცს, რომელსაც კარგი გული აქვს ყველა კაცი უნდა უყვარდეს და მათ შორის ურიაოც, ვინაიდან ურია სხვაზე ნაკლები არ არისო, არიან ისეთი ურებიც, რომლებიც ბევრიო სჯობიან სხვებსაო

ენრ. მაშ მოუტყუებივარ ჩვენ მოახლეს?

დიეგო და კლარა. (ერთად) რასაკვირველია, რასაკვირველია მოუტყუებ-ხარ.

მნრ. (გაჭაფრებულად). მაშ მე ვაჩვენებ იმას თავის სერს. დღესვე ვკითხავ მამა-ჩემს და თუ მითხრა: მოუტყუებიხარო, ისე დავაგლეჯავ თმებს, რომ ერთი ბეჭვი არ შევარჩინო! წავიდეთ! (გავმართებთან წასასკვლავად).

კლარა. (მისურნავს დაბადების კიდობნის კარებს, ჩამოაფარებს ფარდას და ასწორებს ხე-დით, რომ არ მისვდნენ თუ უაფიდა ვინმეო სუეყვას მაღის კიბესთან).

დიეგო. (შეჩრდებს კიბესთან და შეაჩერებს კლარას). მოიცა, კლარა, ერთ წუთს, შენც ენრიკო, მოიცა ცოტა ხანი. გთხოვ, კლარა, არ უთხრა ჩვენს მშობლებს, თუ ჩვენ აქ ვი-ყავით, და ვნახეთ ყველა საჩუქრები, რომე-

ლიც ჩვენ მოსაცემ და მამზადეს. ჩვენ ისე მოვიტყუო, ვითომ არასფერი არ ვიცით; რადგან მამას სურს უცებ გავვახაროს თავისი სა-ჩუქრებით.

კლარა. მართალია, მართალი. მე არასფერს ვეტყვი არც მამას და არც დედას.

დიეგო. (ენრიკოს). შენც, ენრიკო, არასფერი სიტყვა!

ენრ კარგი. ქვასივით დავდუმდები. მაგრამ ჩქარა კი წავიდეთ, თორემ საცაა ჩვენი მოახლე მოვა და დამიძახებს: წამოდი სა-ხლშიო. იქნებ კიდევ მოვიდა და კარებთან მივღის. წავიდეთ! (მადის საჩქაროდ კიბეზე მას მისდევენ დიეგო და კლარა).

ნ. ელიაშვილი—ბენ დავიდი
(გაგრძელება იქნება)

გერის ჭკუა

ერთ კულა მელას ძუქნა მგლის ჯავრი სჭირდა. დღე და ღამ ფიქრობდა, რა გზით უზარალებინა.

ხანგროლივი ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა: რადგან პირად ვერაფერი ვუყავი, ლეკვს მოვბარავ, დავუღრჩობ და ამით ამოვიყრი ჯავრსო. ასეც მოიქცა.

როდესაც მგელი ლეკვების საზრდოს საძებრად იყო წასული, მელა ჩუმად მიიპარა მგლის ბუნავთან, დასტაცა პირი ერთ ლეკვსა და გააცუნტულა

მელას იქვე მახლობლად მინდორში მწვანეზე მამოკრივი ვირი ეგულეობდა; მიიჩინა მასთან, ლეკვი წინ დაუგლო და შესძახა:

— ამჟამო, შენი დაუტენებელი მტრისა და ჩემი დამღუპველის ლეკვია... მოვკლათ და მისგან მოყენებული მწუხარება ამით ცოტათ მიინც მოვიქვარვოთო!

ვირი დასთანხმდა. მელამ ხელად მოგულა საბრალლო ლეკვი, აჰკიდა ვირს და შორე გზას გაუყენა, სადაც, ხევში გადასავდებდა...

არ გასულა დიდი ხანი, მგელი დაბრუნდა ბინაზე. რა ნახა აწიოკებული შერლები და შენიშნა, რომ ერთი მათგანი აღ-რ იყო, მიხვდა ვირის საქმე იქნებოდა, მაშინათვე კვალ-ში ჩაუღდა და მტერა დაედევნა...

მოეწია გზაში მიმავალ ვირსა და მელას. მელას ერთი წაუნია და ქათიბი შეგალიჯა, ეცა ვირსა, მოიღო ქვეშა და ყროყინი დააწყებინა...

ქისერ ჩამოგლეჯილი მელა თავ-ბედ მოძულეული ვარბოდა და თან გული სა-სოდავობით უკედებოდა, მგელი რომ ვირს ცოცხლად ატყავდა

მელას წინ ცხენი შემოეყარა და ჰკითხა მიზეზი ვირის ყვირილისა. მელამ მიუგო:

— „საბანე ცოტა მეტი მოუვიდა, წაიქცა და დგომასა ცდილობს, ყოველ გამვლელ გამოვლელს შევალას სთხოვს...“

— კი, მაგრამ შენ საით მიეჩქარები? ჰკითხა ცხენმა მელას.

— მე აგერ სოფელში მივიდვარ მუშე-ბის საქირავებლად. სანამ მოვბრუნდებოდე, ცოტა ხელი წახამარე ვირსო,—უთხრა მელამ და მოკურცხლა.

ცხენი მიუახლოვდა ვირს. ვირმა რომ თვალი მოჰკრა, შეევედრა—მიშველეო. ცხენმა რაკი ნახა, მისი საკბილო არ იყო, თავი გაიქნია და უთხრა:

— „ვირის ქუას დამიხედეთ! იმდენი ტვირთი აიკიდე, რაც შენმა ზურგმან ზიდოსო.“

ჭიჭიკო

* * *

უზილაო, დღე მზე გეძებს და ღმით კი მთვარე სუსტი და თვით მე ხომ დღე და ღამე შენზე ფიქრით დანასუსტი ისე გეძებს, გესმის, ისე რომ ჩემს თვალებს ფერმიღებულს ზედ ვაკვირებე ყოველ ნასახს... და ლექსების ცისფერ რვეულს ვფურცლავ ხოლმე ყოველ დილით გარეჯაქზე მყუდრო ტყეში და მგონია იქ ვიპოვი—ჩემს რვეულში, ჩემს ლექსებში!..

როს ბუნება განთიადზე მზის სხივებით დაიფეროს, წამს ვაპოვე მზის ნავალ გზას, არაფერმა შეგაჩეროს და აქ მოდი, გესმის, გელი, მოდი, გელის მთლად მიდამო და გახდები დედოფალი საერთოწუთო—საპუდამო!..

ვეფხო ფშაველი



პრაპ. დავ. მის. ჯგ. ფარძიძე გერმანიის ფრანტზე მარტყლა 14 მაკათაყეს. 19 წლის აყო

სიკვდილის მოლოდინში

ექიმის ბრძანების უმაღლესი ვაილი კარი და მოსამსახურის თანხლებით ერთი ქართველი ავადმყოფი შემოვიდა: მალაღი, წყრილი, ძალზე დასუსტებული, ჩამომხმარი სახით. ავადმყოფი შემოსვლის უმაღლესი დააწინეს ტახტზე. ავადმყოფისთვის ყურის ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ. ავადმყოფი ძლიერ შეშინებული იყო, კბილებს აქახუნებდა, ფოთლოვით თრთოდა. მკორე ექიმისა და მოწყალე დის ლაპარაკში, ახლა პირველი ექიმიც ჩაერია. ავადმყოფმა იმ თ ბასით ისარგებლა, ცოტა ხნ შეისვენა, გული მოიბრუნა და ცნობის მოყვარებით დაიწყო აქეთ იქეთ ოთახში ცქერა. მე ამ დროს მვეღლ მასთან, ხელი ჩამოვართვი მან გაიკვირა, თვალები შეიშმუშნა, თითქო ახლა გაიღვიძა და დადგრემილმა, აჩქარებით მკითხა:

— ქართველი ხართ?

— ქართველი ვარ. ნუ გეწინია...

— ჩემო ძმაო, რის უნდა შეშინოდეს...

აქ სავადმყოფოში ამ ორი თვის წინად ერთხელ ქე მქონდა აპერაცია, მაშინ ძლივს გადავრჩი, ახლა გუშინ მითხრა, კიდევ გინდა აპერაციაო... მეც თანხმა ვაუხდი... იმას რა ენადღებოდა, ყოველ აპერაციაზე სამ თუმანს ღებულობს, მე-კი ამდენ აპერაციით იქნება სიცოცხლე წავაგო. არა-და არც მეგზვრებე რომ არ დათანხმდებ, ყური მტკივა, —უკანასკნელი ტიტყვები ჩუქმად მითხრა სხვას რომ არ გავგონა და ძალზე ამოიხენემა.

— ექიმს ღებდა იმედი აქვს... ვუთხარი.

— შენ არ იცი აქ რა ამბავია... ყველა ფულს ემსახურება... ჩვენი ჯავრი არავისა აქვს.—



წამართვა სიტყვა და განაგრძო ლაპარაკი. კიდე უნდოდა ელაპარაკნა, მაგრამ ამ დროს საერთო დაბალის სილინით დასრულდა მოზაიხის საუბარი. „დაძინეთ ავადმყოფი“, დაიძახა პირველმა ექიმმა. ჩვენ შეეწყვიტეთ ლაპარაკი. ავადმყოფი ისევ ათრაოლმა, გულმა დაგდავი დაუწყო. მეორე ექიმმა ნიდაბისებური ქსოვილი ბადე აიღო, ზედ სპინდელის წაალი ასხურა, ჩაჰაპხო ავადმყოფს პირსახეზე და გასძახა „ჩასუნთქე“. ავადმყოფი კენსითა და ხრიალით მოჰყვა სუნთქვას. რამდენიმე წუთს შემდეგ ის ღრმა ძილს შეიგია. ავადმყოფი რომარ განძრეულიყო ოპერაციის დროს, მოსამსახურემ გრძლად შეკეცილ ზეწორით დააკრა ტახტზე და ბოლოს ყელ-ქვეით ფეხებამდის თეთრი ტილო გადაფარა. ერთმა დამ თავი დაუქირა როგორც ჯერ იყო ამგვარ ოპერაციისა თვის. სხვები ზოგი მარცხნივ მოუდგა და ზოგი მარჯვნივ საოპერაციოს. ამ დროს უცებ ჩამოვარდა საერთო სიჩუმე. ოპერაცია დაიწყო. მძინარემ ყურის გაჭრი ღრმს მაინც იგრძნო ტკივილი, რაც ძალ-ღონე ჰქონდა შეინძრა და პირუტყვივით დაიღრიალა... „გააჩერეთ ავადმყოფი, რომ არ გაინძრეს ისეო“ — დაიძახა მეოპერაციემ. ჩვენ ყველანი მივიცინდით ავადმყოფს და ხელ-ფეხი დაუქირეთ. ექიმმა, კარგად რომ ამოჭრა, ხორცი და რამდენიმე ძვალიც ამოსტეხა, მიხვდა რომ სადაც უნდოდა იქ არ მოუხდა ხორცის ამოჭრა. ერთი შეჩერდა, გააქნია თავი და თავისთვის წაიბუზღუნა: „სოტა ქვემო უნდა გავგვიჭრა, აქედან ამის სატკივარს ვერ მიუღებთო.“ სთქვა ეს და ახლა მეორე ალაგს დაიწყო ოპერაცია. ოპერაცია დიდხანს გრძელდებოდა. საოპერაციო ავადმყოფები სხვებიც იყვნენ იმ დღისთვის გამზადებული და ექიმს რაც შეეძლო ჩქარობდა, რომ ადრე მორჩენილიყო პირველ ოპერაციას. ამავე დროს მისი უმთავრესი ყურადღება კიდე კედელზე ჩამოკიდებულ საათისაკენ იყო მიქცეული. ბევრი დრო რომ არ დაჰკარგოდა ავადმყოფზე. სიჩქარეში დიდხანს იძიძგნა მან ავადმყოფის სისხლსა და ხორციში ხელეში, თითქო საქონლის შეგნელობას ეწმენდს და არჩევსო. მე ვვიქრობდი, ეს ქართული ავადმყოფი რომ

დიდი ვინმე ბრძანდებოდაც, ნეტა თუ მაშინაც ავრე მოიქცეს ექიმი და ავრე სიჩქარით დაიწყოს მოქმედება თქო.

პირველი ოპერაცია საათ ნახევარს გაგრძელდა. იმ დღეს სამს კიდევე გაუკეთეთ ოპერაცია. პირველი ოპერაცია ყველაზე დიდ ოპერაცია იყო. გულში ჩამჩა რა დამართებოდა ამ ავადმყოფს და გადავწყვიტე მეორე დღით დროით მენახა.

ევ. ფურცხვანიძე
კაცის თვალს რა გააძლქს

აჭარაში გაგონილი ზღაპარი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ზოლი 1) ფუხარა 2) კაცი. ყველა ერთი შეილი და მეტი არაფერი გაანდა. იმ ზომზე მივიდა შიმშილით, რომ თავს იხრჩობდა ადიდებულ წყალში. ეს შენიშნა შეილიმა და გამოკითხა მიზეზი თავის დახრჩობისა. მამამ უმბო თავისი თავ-გადასავალი.

— შეილიო შიმშილით ღამის არის სული ამომხდეს და აბა რა ექნაოო. მამინ შეილიმა უთხრა მამას:

— მამა! მოდა მე გაყვიდე ორას მანეთად და მით ერთი ხანს თავი ირჩინეო.

— შეილიო, შენ ვინ გიყიდის, ხომ არ გაბეჩდი ვის რათ უნდინარა?

მამინ შეილიმა უთხრა.

— გაიყვე ბაზარში, დაიწყე ყვირლი „გასაცილე ბავშვი“ და თუ ვინმემ გკითხოს რა იცის შენმა ბავშვმაო, უთხარი, ყოველივეს იცნობსთქო: ქვას, საქონელს, კაცს და სხვას

მამამ ასარულა თავისი შეილის ნარჩევი, გაიყვანა თავისი ბავშვი ქალაქში და მორთო ყვირლი: ვის გინდათ ბავშვი 3) გასაცილე ამ დროს გაიარა მეფემ და ჰკითხა მამას:

— რა იცის შენმა ბავშვმაო.

მამამ მიუგო.

— ჩემი ბავყი გამოიცნობს ქვას თვალს, კაცს და ცხენსო.

მეფემ მისცა ორასი მანეთი, წაიყვანა ბა

1) ზოლი—ნამეტანი 2) ფუხარა ლატაკი; 3) ბავყი—ბავშვი.



გვეი და მიხარა მზარეულს: მაგას აქავე თითო პური და წყალი აზიდიეო.

გავლა რამდენიმე ხანი, მეფემ იყიდა ერთი ზოლი ლამაზი ცხენი. შინ რომ მიიყვანა, გაახსენდა ცხენის ძკოდნე ბევრეი, დაუძახა და ჰკითხა:

— როგორია ჩემი ნაყიდი ცხენიო?

— ბავშვმა მიუყო: ტყვილა გიხარია, მიფეო: ეს ცხენი, წყალთან მიიყვანთუ არა, მაშინვე შიგ ჩაწობაო.

მეფეს გეგინა და მოინდომა იქვე ახლო ტბაში შეიყვანა ცხენი. ბავშვი შეგხვეწა მეფეო თქვენ თვიონ ნუ შეგდებთ, აგი თქვიჩი შეთავაზებ შეგდინეთ და ისე ვნახათო. მეფემ აღსრულა თხოვნა, გადმოხტა ცხენიდან და თავისი მეთევზე შესვა და შეუშვა ტბაში. ცხენი მაშინვე წყალში ჩაწვა და მეთევზე წყალს მისცა. მეფეს გაუვივრია და კითხა: შენ რით შეატყეო?

ბავშვმა მიუგო: მე რომ ამ ცხენს შეგხედო, მაშინვე ვიფიქრე, რომ ეს კანების ხატოა.

მეფეს გაუვივრია, მოიყვანა გამყიდველი და გამოიკვია, რომ კვცობაში იმ ცხენს დედა მოკვდომოდა, კამებისთვის ეწოდებოდა ძუძუ და მაშინ შესჩვეოდა წყალში ჩაწოლას. მეფემ დააჯილდოვა ეს ბიჭი და მზარეულს უბრძანა ერთი პურიც მოუშაბო.

გავლა რამდენიმე ხანი, მეფემ იყიდა თვალი, მოიტანა სახლში და დაიწყო წინვა. რამდენი გირი დაყარეს, მაგრამ ვერ აწონეს. ბოლოს იფიქრეს, მოდი ერთი, გირების მაგიერ ფული დაეყარათო. გამოცდალეს მთელი მეფის სალარი, მაგრამ თვალი ვერ აწონეს. მეფეს კიდევ გაახსენდა თავისი ნაყიდი ბიჭი და დაუძახა. ბიჭი მოვიდა თუ არა, დახედა თვალს, აიღო ცოტა მიწა და დაყარა იმ ტახტზე სასწორისა საითაც თვალი იყო დადებული. სასწორი მაშინვე დაიწია. მეფემ კითხა:

— მიწა ასე რათ გაასუბუქა ეს ძვირფასი თვალიო?! ბიჭმა მიუგო:

— ეს არ ს არა ძვირფესო თვალი, არამედ კაცის თვალი და კაცის თვალს მიწის მეტი ვერაფერი გაადებსო.

მეფეს შეეწონა ეს სიტყვები და მზარეულს უბრძანა: ბიჭს კიდევ ერთი პური მიუშაბო.

გავიდა რამდენიმე ხანი. მეფემ ნადიმი გადინა, მოიწვა ა ყველა თავისი ნაზარევირი და შეეცა ქეიფს. ქეიფის დროს გაახსენდა თავის ბიჭის მამის ყვირილი ჩემი შვილი კაცს იცნობსო და დაუძახა ბიჭს.

— მაშაშენის ორი სიტყვა გეძარბოდა, ახლა მესამეც თუ გეძარბოდა, მაშაშენი რო? ამბობდა, ჩემი შვილი კაცს იცნობსო. აბა, ამ ჩემს სტუმრებთან მათხარი, როგორი კაცი ვარო?

ბიჭი განზე გადაგა.

— ამ ხალხში ვ რ გეტყვი და მარტო შეგატყობინებ ყოველივესო. მეფემ აიჩქმა: ამ ხალხში მითხარო. ბიჭმა მოახსენა:

— ყოველივეს გეტყვი, თუ არ გამიჩაქსდები და არ მომკლავო.

მეფემ აღუთქვა. მაშინ ბიჭმა მოახსენა:

— ტყუილ ტრამბაზბ და თავი მეფედ მოგაქ, შენ მეფის არაფერი გცხა, უბრალო მეპურის ნამალევა შეკლი ხარო.

მეფე დალონდა, მოინდომა შეიტყო ბიჭის ნალაპარაკევი მართალი იყო თუ სიცრუე. მაშინვე ადგა და დედასთან წავიდა (თათრის ჩვეულებისაებურ ქალები და კაცები ერთად პურს ვერ სჭამენ), მივიდა და უთხრა:

— ადვილო, ცოტა რაღაც ავად ვარ და ერთი შენი ძუძუ მომწოვიო. დედას გაუვივრია შვილის ასეთი თხოვნა და უთხრა:

— შვილო ხომ არ გებნთი, რა დროს ამ შენი ძუძუს წოვა არის და ან სად მაქრამე ძუძუში, ამდენი ხანია ბოეშვი არა მყოლიაო. მეფე მიანიც არ მოეშვა.

მაშინ დედამ აღსრულა თხოვნა და მისცა ძუძუ პირში, მეფემ მაშინვე კბილი მოუჭირა ძუძუზე და უთხრა:

— მითხარი, ვისი შვილი ვარ, თვარა, ძუძუს მოგკამო, დედას არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ტყვილომა აძიებდა და უთხრა:

— შვილო მაშაშენი მოხუცი კაცი იყო მე რომ მომიყვანეს, მე კი 17—18 წლის ქალი ვიყავო, ის სულ თავის სამეფოზე ფიქრობდა და მე ყურადღებას არ მაქცევდა მე ვერ მოვითმინე ქმარის ასეთი გულცივობა, ერთი ზოლი ლამაზი მეპურე ჰყავდა ჩემს ქმარს, შემეყვარა და იმიდნ შემეძინე შენო.

მეფე ნადვლიანი გამობრუნდა და უთხრა ბიჭს: სიდან იცადი, რომ მე მეპურის შვილი ვიყავო. ბიჭმა მიუგო:

— პირველად ცხენი რომ გამოვიყვანე, შენ მაშინ პური და მაჯილდოვე, თვალი რომ გამოვიყვანე— შენ მაშინ კანონით მისაქმელი უნდა მოგცვა და არა ხელმწივრედ პურიო.

მეფეს მოეწონა თავისი ბიჭის ნალაპარაკევი და რადგან შვილი არ ჰყავდა, იშვილა იგი და გახსნა შემეყვარებდა. ბიჭმა მამა მიიყვანა და მას შემდეგ განცხრობით ცხოვრობდენ.

სსსლსო თეატრის რის ისტორია

(მასალები)

რაც დრო გადაიდა, წარმოდგენები უფრო და უფრო რთიანად იმართებოდა. თეატრის შემოსავალი-თითო შაურიდან შემოსული ფული— ვეღარ ჭეოფნიდა გასაყვანს და მუდამ სეზონი წარადით თავდებოდა. ამისთვის სქეცია იძულებული შეიქმნა ეთხოვნა რუსულ კათხათა კლასისათვის, რამე ნება მიეცათ ბილეთების ფასი მიიღვეს ხუთ რიცხვად მინდ შიკამტებინათ, პირა საშუალება მისცემოდათ ხარჯის დაფარვისას, ამ თხოვნასვე კათხათა კომისიამ დასთანხმდა, ფასი მოუმატეს: პირველი ორი რიცხვი 15 კაპ. შესაძე, შუათხე, და მეხუთე 10 კაპ. დანარჩენი ისევე თითო შაურად.

რადგანაც სქეცია შეატყო, რამე სახალხო თეატრმა ხალხი ძლიერ მიიზიდა, ამისთვის შეეცადა ქალაქის სხვა უბნებშიც რეკორამე ეზოვნა ბინა წარმოდგენების სამართავად.

1898 წ. გაზაფხულზე ნიძადაფოში ისევე ბ. ჩარკვიანის მეთაურობით შედგა ამხანაგობა მუდამე წარმოდგენების გასამართავად.

ამხანაგობაში შედიოდნენ: 1) გრ. ჩარკვიანი, 2) პეტ. ხოვასი, 3) სე. ვადაბეაშვილი, 4) პეტ. ფტაძე, 5) იოს. დარახველიძე, 6) კაბ. ჩხენკელი, 7) ივ. ბეჟუშვილი და 8) ვასო დარბაშვილი (უმეტესობა სედასნებო ეუკენ) რეჟისორად მოწვეულ იქნა შარო საფარაგი. ამ შემთხვევაში ჩამოთვლილ პირთა ამხანაგობაში დავიკავს საქალაქო ადგილი ეკლესიის პირდაპირ, მუდამე სახალხო თეატრის ასაგებად; ნისიად აიღეს ხის მასალა შემოდობეს, სცენა გააკეთეს, სცენის მოყვარენი მოიწვიეს და წარმოდგენების მართვის შეუდგენენ. სულ გამართა 10 წარმოდგენა: „პეპა“ „შისას დაბეგებას საქართველოში“, „ჯერ დახიხინენ მეტე დაქორწილდნენ“, „არსენა“ „რაც გინახავ ვეღარ ნახავ“, „კინტო“, „ადვოკატი მუღაძე“ „ბრილიანტი“.

გიორგი ვაბაქური

ონსერკატორის როგორ ვამზადებ **სტრიკპაპემ** ილიოქურსული მისა- მართი წერლით: Орхевский пер. д. 7

წერილი ახვავი

- ◆ **ქართ. დრამ. ღანი** თეატრის უშოვნელობით გაქორევაშია.
- ◆ **მალ გუნინას** ავადმყოფობა იმავე მდგომ.
- ◆ **ბაქოს დრამ. წრის** მიერ მიწვეული რეჟისორი შ. დლიანი, მსახიობნი ელ. ანდრონიკაშვილი და შ. სომელი უკვე გაემგზავრნენ ბაქოს, სენანი დაიწყება ამ თვის პირველებში. რეპერტუარი—უმთარესად ორგინალური და ბაქოთვის ახალი პიესები.
- ◆ **ქალთა „ბანათღანი“** სემნარია აკურთხეს ენკენ. 25. დაესწრო ღლობა საზოგადოება. კურთხევისას სადღესასწაულო ელფერი ჰქონდა.
- ◆ **„თეატრი და ცნობება“** ძველი სენაკის ამკითხველს თავის ხარჯით გაუწერა ა. ჯავთრაძემ.
- ◆ **ბაქოს სამხმებრო-საღმებრო წრამ** ვ. არაბიძის რეჟისორობით სენონი დაწყო ენენისთვის 26 ტ. რამიშვილის „მეზობლები“-თ.
- ◆ **ხარკუშის ქალთა** დაიქირავა ახალი ბინა (მიხეილის პრ. № 163) შენობას შეკეთებს და ამ დღეებში გადავა კიდევ.
- ◆ **სხვა და სხვა შემომოწიკველთა** სიას შემდეგ ნომერში დამბედავთ.

ახალი კლუბი 1 მკირის პროკ 2-9 ღვინ.

- ორშაბათი** — რუსული ოპერეტა
- სამშაბათი** — სიმფონიური კონც.
- ო.შ.შაბ.** — სინემატოგრაფი.
- ხუთშაბ.** — ქართ. წარმ. (უფას); სახანდარი
- პარასკე.** — სინემატოგრაფი; მუსიკა.
- შაბ.** — სიმფონიური კონ.
- მკირა** — მუსიკა; სინემატ.

დახაწმინი: კონცერტებისა საღამ. 9 სათა..
წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 სა
სშხასხმელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლო. საშაბათს და შაბათს იხილიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმ.) 65 კ. შამაკიები 1.05 კ.



რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა